№193 2016 წლის 11 თებერვალი ქ. თბილისი

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვთა ფონდისათვის (UNICEF) სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების უსასყიდლო უზუფრუქტის უფლებით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

1. საქართველოს პარლამენტის 2000 წლის 28 დეკემბრის №705 დადგენილებით რატიფიცირებული „საქართველოს მთავრობასა და გაერთიანებული ერების ბავშვთა ფონდს შორის თანამშრომლობის შესახებ საბაზო შეთანხმების“ მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, მიეცეს თანხმობა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალ სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვთა ფონდს (UNICEF), უსასყიდლო უზუფრუქტის უფლებით, შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 (ხუთი) წლის ვადით, გადასცეს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული, ქ. თბილისში, აბუსერიძე-ტბელის ქ. №15-ში (ნაკვეთი 20/9) მდებარე №1 შენობა-ნაგებობიდან 500 კვ.მ ფართი და მასზე წილობრივად დამაგრებული მიწის ფართობი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №01.17.12.020.009).

2. ამ განკარგულების შესრულების მიზნით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალმა სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ განახორციელოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი ღონისძიებები.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**